შპს ე.რ.ი. მედია ჯგუფის (ბრენდული სახელწოდება „ერი მედია“) თვითრეგულირების მექანიზმის შესახებ

2009 წლის 12 მარტს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" სახით.

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლითა და "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე-7 მუხლის საფუძველზე, მაუწყებლებს განესაზღვრათ ვალდებულება, შეექმნათ თვითრეგულირების მექანიზმი.

შპს ე.რ.ი. მედია ჯგუფს („ერი მედია“), საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების ზედმიწევნითი დაცვით, შემუშავებული აქვს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი (დებულება), რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურას და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შპს ე.რ.ი. მედია ჯგუფმა („ერი მედია“) შექმნა დავის განმხილველი ორგანო, რომელიც არსებობს ორი ინსტანციის სახით: პირველი ინსტანცია - "კომისია" და მეორე ინსტანცია "სააპელაციო საბჭო".

დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ შპს ე.რ.ი. მედია ჯგუფმა („ერი მედია“) დაარღვია "მაუწყებელთა ქცევის კოდექსით" დადგენილი ეთიკური სტანდარტები და მისი უფლებები, შეუძლია მიმართოს მაუწყებელს საჩივრით და მოითხოვოს რეაგირება.

საჩივრის გამოგზავნის სურვილის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს შეუძლია, ჩააბაროს შესაბამისი დოკუმენტაცია თვითრეგულირების მექანიზმის სახელზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით სარაჯიშვილის გამზირი N12 ან გაგზავნოს საჩივარი ელექტრონული სახით შემდეგ მისამართზე: info@erimedia.ge